ძუნწი და ოქრო

ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის და ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმან სხვა კაცმან და თქვა: მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო: რა უცანო? მივიდა და ღამე მოთხარა ოქრო იგი, წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა.

მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი. მოთხარა, ნახა: ოქროსა ნაცვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი მომპარავი, ჰკითხა: რას სტირიო?

მან უთხრა: ოქრო დავფალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო.

უთხრა მან კაცმან: ვაი შენ! რად სტირ? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო

– მეფეო, სალაროცა ეგრეა, რაც უნდა იდვას, თუცა არ იხმარებ კეოილად, ანუ არ დახარჯავო1

მამამან უბრძანა:

– მაშა, შენ რომ იტყვი, სრულობით არ ვარგა ქონების შენახვა?

ჯუმბერ მოახსენა:

– არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია

თქვა ჯუმბერ არაკი: